

ახალი ამბები

ქალთა პარტიის მაჟორიტარობის სამმა კანდიდატმა თავისი კანდიდატურა მოხსნა

თბილისი.18.05.08.მედიანიუსი. ქალთა პარტიის სამმა მაჟორიტარობის კანდიდატმა გაერთიანებული ოპოზიციის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

პარტიის წევრი ღია მუხაშაურია გაერთიანებული ოპოზიციის საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატის რევაზ შავიშვილის სასარგებლოდ ხსნის კანდიდატურას, ირმა ჯანგირაშვილი ოპოზიციის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატის დავით გამყრელიძის სასარგებლოდ, ხოლო ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე აპარეხს ჩუღურეთის მაჟორიტარობის კანდიდატს კოკა გუნცაძეს უთმობს.

„იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ბლოკი აგრძელებს პროპორციული სიებით არჩევნებში მონაწილეობას, იმედი გვაქვს მოსახლეობა ჩვენს გადაწყვეტილებას დადებით მოეკიდება და არჩევნებში ბლოკს მხარდაჭერას გამოუცხადებს. აღნიშნული გადაწყვეტილება მივიღეთ იმის გამო, რომ ხმები არ დაიკარგოს და არჩევნებში ოპოზიციურმა კანდიდატმა გაიმარჯვოს“, - განაცხადა მაღრაძემ.

© ინფორმაციის ციტირებისას „მედიანიუსის“ მითითება სავალდებულოა.